**ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:**

ისტორიის კონკურსი უკვე მეოთხედ ტარდება გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) და გერმანული კორბერის ფონდის (Körber Stiftung) ეგიდით და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა.

საქართველოს მხრიდან პროექტის პარტნიორები არიან ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (GAHE) და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (SovLab).

ახალი პროექტის სახელწოდებაა „ისტორიის სწავლების სახელმძღვანელო-მეთოდური რეკომენდაციები კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის". მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია ისტორიაზე დაფუძნებული პროპაგანდის მაგალითების კრიტიკული კვლევა სკოლის სახელმძღვანელოებში, დამხმარე ლიტერატურაში, ისტორიის მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების პროგრამებში, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დანერგვა ისტორიის სწავლებაში. დაგეგმილია კონკურსის თემასთან დაკავშირებული ტრენინგები მასწავლებლებისათვის და კონსულტაციები კონკურსში მონაწილე მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის.

წლევანდელი კონკურსის თემად შეირჩა „ისტორიის გაყალბება – პროპაგანდის ინსტრუმენტი". საწყის ეტაპზე შეირჩევა ისტორიის მასწავლებელთა ჯგუფი, რომლიც თემატური ტრენინგების გავლისა და კვლევებში მონაწილეობის შემდეგ დაეხმარება დაინტერესებულ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს საკონკურსო თემების შერჩევასა და შესაბამისი ნაშრომების მომზადებაში.

პროექტი ხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (TSU) და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (CTU) პატრონაჟით.

პროექტის განხორციელებას მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მხარდამჭერები:
Supported by:

# ისტორიის გაყალბება

## პროპაგანდის ინსტრუმენტი



ისტორიის კონკურსი
სკოლის მოსწავლეთათვის
2023-2024

# „ისტორიის გაყალბება – პროპაგანდის ინსტრუმენტი“
## კონცეფცია

თავისი ზეწნებიდან გამომდინარე, ისტორია იმგვარად თუ ყოფილა თავისუფალი ობიექტური თუ სუბიექტური ზეგავლენისაგან. ისტორიის გაყალბება პროპაგანდის ერთ–ერთი გავრცელებული მეთოდია, როცა დაინტერესებული მხარე პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ისტორიული ფაქტების ყალბად და წარსულის რეალიზის ახდენს. ამ მიზნით ისტორიული დოკუმენტებისა და სტატისტიკის გაყალბება და არასანდო წყაროების ლეგიტიმურად წარმოჩენა ხდება. ისტორიით მანიპულირება მეტწილად პოლიტიკურ მიზნებს – საზოგადოების მობილიზებას, მტრის ხატის შექმნას, მოწინააღმდეგის დემონიზებას, ძლიერების ილუზიის შექმნას და სხვა მიზნებს ისახავს. ხელისუფლება, როგორც წესი, აკონტროლებდა მემატიანეთა ნაწერსა და ნააზრევს და, რაკი დამკვეთი თავად იყო, ფაქტებისა და მოვლენების ასახვაც მისთვის მისაღები და სასურველი უნდა ყოფილიყო. ისტორიის ფალსიფიკაცია, მისი შელამაზება და მმართველი რეჟიმის იდეოლოგიით ინტერპრეტაცია ძველი დროიდანვე საყოველთაოდ ცნობილია. ეს ასე იყო ყველა ქვეყანაში, რადგან თითქმის ყველა ხელისუფლება ესწრაფოდა, შეექმნა წარსულის მისთვის ხელსაყრელი ვერსია.

რაც შეეხება ისტორიაზე დაფუძნებულ პროპაგანდას, ისტორია, ერთი შეხედვით, ჰუმანიტარული მეცნიერების რიგითი, ჩვეულებრივი დარგია, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს და შეინარჩუნოს წარსული, შესაძლებლობისდაგვარად წარმოაჩინოს მისი რეალობასთან მიახლოებული სურათი. მაგრამ, იმავდროულად, ისტორია მრისხანე იარაღია სახელმწიფოთა ხელში საკუთარი პოლიტიკური მიზნებისა და სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად, როდესაც იგი იდეოლოგის როლს ასრულებს.

რაც პოლიტიკა არსებობს, მუდმივად ყალიბდება ამგვარი კომბინაცია ხელისუფლებისა და სამიზნე აუდიტორიის შორის. პროპაგანდა უნდა იყოს მარტივი, რომ ბევრი ადამიანის მიზიდვა შეძლოს და მუდმივად წერტილოვნად უნდა ურტყას სამიზნეს. განმეორებადობის, ცნობიერების მუდმივი დაბომბვის მიზანია, დაარწმუნოს ადამიანი, მაგალითად, აიღოს ხელში დროშა, გავიდეს ქუჩაში, ან სულაც, იომოს მეზობელ სახელმწიფოებთან. ამისთვის კი სახელმწიფო ეძებს აუდიტორიას, სადაც ანალიზის, აზროვნების უნარი და ცოდნის დონე დაბალია. ამიტომ განათლების ხარისხის ამაღლება ის იარაღია, რომელიც დიდ პრობლემებს უქმნის პროპაგანდის გავრცელებისა და ზემოქმედების საფრთხეს.

რუსეთის შემოჭრამ უკრაინაში, ბოლოდროინდელმა ესკალაციამ ყარაბაღში და გაყინულმა კონფლიქტებმა დნესტრისპირეთსა და ისრაელში სეპარატისტულ რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, აჩვენა სამხედრო კონფლიქტებში ისტორიის პოლიტიკური (არასწორად) გამოყენების საფრთხე და გააძლიერა სასკოლო ისტორიის განათლების მნიშვნელობა, რომ სკოლის მოსწავლეები დაცული იყვნენ პოლიტიკური მანიპულაციებისგან და შეეძლოთ დამოუკიდებლად და კრიტიკულად აზროვნება.

თქვენ, საქართველოს მომავალ თაობას, შანსი გაქვთ, მონაწილეობა მიიღოთ ისტორიის კონკურსში და წვლილი შეიტანოთ პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ისტორიის გაყალბებას ცდილობს. მიმდინარე პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს სკოლაში ისტორიის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიზნით შემუშავდება რეგიონალური საგანმანათლებლო სახელმძღვანელო რეკომენდაციები მასწავლებლების მომზადება/გადამზადების მოდულისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ისტორიის სწავლების წყაროზე დაფუძნებულ მიდგომას. პროექტის ერთ–ერთი მთავარი მიზანია, ისტორიაზე დაფუძნებული პოლიტიკური პროპაგანდის საკითხის შესწავლა სასკოლო სასწავლო გეგმებში და ამის საფუძველზე, სახელმძღვანელო რეკომენდაციების შეთავაზება სკოლებისათვის.

გინდათ, რომ იმსჯელოთ ამ რთულ, მაგრამ აქტუალურ და საინტერესო საკითხებზე? მაშინ უბრალოდ ჰკითხეთ თქვენს მშობლებს, ბებია–ბაბუებს, მეზობლებს, ოჯახის მეგობრებს, ნაცნობებს, რომ გაიხსენონ ისტორიის პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოყენების მაგალითები. შეაგროვეთ ისინი, მოიძიეთ ინფორმაცია ბიბლიოთეკებში, სახელმწიფო თუ საოჯახო არქივებში და მიიღეთ მონაწილეობა ისტორიის კონკურსში „ისტორიის გაყალბება – პროპაგანდის ინსტრუმენტი“.

თქვენ გაქვთ შანსი, მიიღოთ სიამოვნება წარსულში მოგზაურობით, ახალი აღმოჩენებით, ახალი ინფორმაციის გაგებით, თქვენ შეგიძლიათ, კრიტიკულად შეაფასოთ ესა თუ ის ისტორიული მოვლენა, რომელიც გამოყენებული იყო პროპაგანდისტული მიზნებისთვის.

თქვენ შეგიძლიათ, თქვენი ნაშრომი გამოაგზავნოთ ისტორიის კონკურსზე და გახდეთ გამარჯვებული, მიიღოთ ფასიანი საჩუქარი, ან შანსი, მონაწილეობა მიიღოთ ისტორიის ბანაკში, რომელიც ყოველწლიურად იმართება ევროპის რომელიმე ქვეყანაში!

---

### მონაწილეობის პირობები:

**ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება?**

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების 16–21 წლის ასაკის მოსწავლეებს და სტუდენტებს. ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ჯგუფში შეიძლება იყოს მაქსიმუმ 3 მონაწილე.

**რა სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნაშრომი?**

1. ესსე (3.000–5.000 სიტყვა);
2. ფოტო კოლექცია (მაქსიმუმ 5 ფოტო);
3. პოსტერი;
4. ანიმაცია/მცირე ვიდეო (5–10 წუთი).

ფოტო კოლექციას, პოსტერს და ანიმაცია/მცირე ვიდეოს უნდა ერთოდეს აღწერა, *მაქსიმუმ 1000 სიტყვა.*

**რომელ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი ნაშრომი?**

კონკურსის ოფიციალური ენაა ქართული. თუმცა ნაშრომების გამოგზავნა შესაძლებელია ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ორგანიზატორები თავად უზრუნველყოფენ თარგმანს.

**რომელი ვებგვერდებიდან შეიძლება აპლიკაციის ფორმის ჩამოტვირთვა?**

https://historycompetitions.ge/
https://www.facebook.com/HistoryCompetitionInGeorgia/
http://www.dvv-international.ge/georgia/profile/
http://sovlab.ge/ka
https://www.facebook.com/Georgian-Association-of-History-Educators-290228457853388/

**როგორ და რა ფორმით შეიძლება ნაშრომის გამოგზავნა? რა არის ბოლო ვადა?**

ნაშრომი უნდა გამოაგზავნოთ თანდართულ აპლიკაციის ფორმასთან ერთად ჩვენს ვებპორტალზე: https://historycompetitions.ge/

ნაშრომის გამოგზავნა შესაძლებელია ასევე ფოსტით მისამართზე: DVV International-ის საქართველოს ოფისი, ყიფშიძის ქუჩა № 20, ბინა. 3.

**ნაშრომების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2024 წლის, 15 მაისი, 24:00 საათი.**

გამარჯვებული ნაშრომები გამოქვეყნდება კრებულში.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით პროექტის Facebook-ის გვერდზე:
https://www.facebook.com/istoryCompetitionInGeorgia/

პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში მონაწილე გამოეთიშება კონკურსს. კონკურსის ორგანიზატორები უფლებას იტოვებენ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაში, საჯაროდ გაავრცელონ ამის შესახებ ინფორმაცია!

მოსწავლის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევარი არ უნდა იყოს გამოქვეყნებული, ან რომელიმე სხვა ანალოგიურ კონკურსში წარდგენილი. ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსის მონაწილე ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან.